



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის  
დირექტორი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2

12

2021 წ.

№ 236

ქ. თბილისი

„სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების  
კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/5) განმხილველი საექსპერტო  
კომისიის შექმნის თაობაზე“

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 15.10.2021  
წლის №175 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სსიპ -  
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების  
დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის  
მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ  
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების“ მე-2 მუხლის  
მე-5 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.საექსპერტო კომისიის წევრის – იოსებ ბლიაძის მიერ საექსპერტო კომისიის დატოვების  
გამო, შევიდეს ცვლილება „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების  
დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/5) განმხილველი  
საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის  
ეროვნული ცენტრის დირექტორის 15.10.2021 წლის №175 ბრძანებაში და სრულმეტრაჟიანი  
მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ  
პროექტთა (კონკურსი №2/5) განმხილველი საექსპერტო კომისია განისაზღვროს 6  
წევრით, შემდეგი შემადგენლობით:

1. მანანა დუმბაძე – მწერალი;
2. მანანა ლეკბორაშვილი - კინომცოდნე;
3. რატი ჯებაშვილი – რეჟისორი;
4. ნინო უვანია - რეჟისორი;
5. ლევან კიტია – რეჟისორი;
6. ლევან ღლონტი – რეჟისორი;

3. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-  
კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის  
ვებ-გვერდზე განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

საფუძველი: „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის წევრის – იოსებ ბლიაძის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2.12.2021 წლის №235 ბრძანება.

დირექტორი



გაგა ჩხვიძე